

აქციის

„ინტერნეტ მშობელი 3 თვით საჩუქრად“ პირობები

1. აქციის ფარგლებში, აბონენტები, ინტერნეტ მომსახურების სააბონენტო გადასახდელის ფარგლებში მიიღებენ დამატებით სერვისს "ინტერნეტ მშობელი" - 3 თვით.
2. აქციაში ჩართვის პერიოდი განისაზღვრება 2020 წლის 30 ივლისიდან 3 თვის ვადით.
3. აქციით სარგებლობას შეძლებენ შემდეგი კატეგორიის აბონენტები:
 - 3.1. ოპტიკური ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებით, ან მომსახურებების ნებისმიერი კომბინაციით/სპეციალური შეთავაზებით (რომელიც მოიცავს ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებას) მოსარგებლე აბონენტები (მათ შორის "სილქ+" შეთავაზებით მოსარგებლე აბონენტები);
 - 3.2. პირები რომლებიც რეგისტრირდებიან ოპტიკურ ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებაზე ერთდროულად, ან მომსახურებების ნებისმიერ კომბინაციაზე/სპეციალურ შეთავაზებაზე, რომელიც მოიცავს ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებას (მათ შორის "სილქ+" შეთავაზებას);
 - 3.3. ოპტიკური ინტერნეტ მომსახურების, ან სილქფონისა და ინტერნეტ მომსახურების მიმღები აბონენტები;
4. "დამატებითი სერვისის" ძალაში შესვლის შემდგომ ორმაგ შეთავაზებაზე დარეგისტრირებულ (ახალ) აბონენტებს დამატებითი სერვისის "ინტერნეტ მშობელი" (პაკეტი) გაუაქტიურდებათ ავტომატურად - აქციის პირობებით, გააქტიურებიდან 3 თვის ვადით, დამატებითი გადასახდელის გარეშე. აქციით „დამატებითი სერვისის“ ავტომატური გააქტიურებისას აბონენტისთვის ავტომატურად ხელმისაწვდომი იქნება საინფორმაციო შემეცნებითი ვიდეო კონტენტი (ტვ მენიუდან), ხოლო მობილური აპლიკაციით სარგებლობისთვის აბონენტმა დამატებით უნდა განახორციელოს მისი ჩამოტვირთვა შესაბამისი ვებ პორტალიდან. მიუხედავად იმისა, აბონენტი განახორციელებს თუ არა მობ. აპლიკაციის ჩამოტვირთვას, „დამატებითი სერვისის“ აქციით გააქტიურებისთანავე ითვლება, რომ აბონენტს გაუაქტიურდა შესაბამისი პაკეტი და აქციის დასრულების შემდგომ დაერიცხება გააქტიურებული პაკეტის შესაბამისი ღირებულება სრულად.
5. აქციის მოქმედების ვადა განისაზღვრება 3 თვის ვადით, რომელიც ყოველ კონკრეტულ აბონენტზე აითვლება ინდივიდუალურად, მისთვის აქციის გააქტიურების დღიდან.
6. აბონენტები, დამატებითი სერვისის "ინტერნეტ მშობელი"-ს პაკეტს "Basic" მიიღებენ აქციის ფარგლებში ინტერნეტ მომსახურების სააბონენტო გადასახდელის ფარგლებში.
7. აქციის პირობების აქტივაცია მოხდება შემდეგნაირად:
 - 6.1. 3.1. პუნქტით გასაზღვრულ აბონენტებს, აქციის პირობები გაუაქტიურდებათ ავტომატურად აქციის გაშვების თარიღში;
 - 6.2. 3.2. პუნქტით განსაზღვრულ აბონენტებს, აქციის პირობები გაუაქტიურდებათ ავტომატურად მომსახურებ(ებ)ის ინსტალაციის დასრულებისთანავე;
 - 6.3. 3.3. პუნქტით განსაზღვრულმა აბონენტებმა, იმისათვის რომ ისარგებლონ აქციით, უნდა ჩირთონ პაკეტი „Basic“ (თვითმომსახურების პორტალიდან: mysilknet.com ან მომსახურების ცენტრიდან) აქციის პირობებით სარგებლობაზე.
8. აბონენტებს, რომლებიც მე-2 პუნქტით განსაზღვრულ პერიოდში გააქტიურებენ დამატებით სერვისს "ინტერნეტ მშობელი" და აირჩევენ პაკეტს "Basic", წინამდებარე აქციის პირობები

გაუაქტიურდებათ ავტომატურად "ინტერნეტ მშობლის" დამატებითი სერვისის გააქტიურების დღიდან.

9. აქციის მოქმედების პერიოდის ამოწურვის შემდეგ, აბონენტებს შეუწარმუნდებათ დამატებითი სერვისის "ინტერნეტ მშობელი" და დაერიცხებათ პაკეტის "Basic" - სტანდარტული ღირებულება.
10. აქციის მოქმედების პერიოდში არ იზღუდება დამატებითი სერვისის "ინტერნეტ მშობელი" გაუქმების შესაძლებლობა. "ინტერნეტ მშობლის" გაუქმებისა და შემდეგ მისი ხელმეორედ გააქტიურების შემთხვევაში, წინამდებარე აქციის პირობები გავრცელდება იმ შემთხვევაში, თუ "ინტერნეტ მშობლის" გააქტიურება მოხდება მე-2 პუნქტით განსაზღვრულ პერიოდში. აქციის ხელმეორედ გააქტიურებისას, აქციის მოქმედების ვადა განისაზღვრება მე-4 პუნქტში მითითებული ვადით.
11. იმ შემთხვევაში, თუ აქციის მოქმედების პერიოდში, აბონენტი, შეიცვლის "ინტერნეტ მშობელი"-ს პაკეტს (აქციით გააქტიურებულ პაკეტს შეცვლის სხვა პაკეტით), მოხდება აქციის პირობების გაუქმება.
12. თუ ოპტიკური ინტერნეტის აბონენტი ჩაერთო ორმაგ შეთავაზებაში: ა) თუ ამ ორმაგი შეთავაზების ანგარიშზე უკვე დაფიქსირებულია ინტერნეტ მშობლის რომელიმე პაკეტი (აბონენტმა თავად თუ ჩაირთო), ჰქონდა ან აქვს, ასეთ შემთხვევაში აბონენტი ვეღარ ისარგებლებს 3 თვიანი აქციით, ბ) თუ ანგარიშზე არ დაფიქსირებულა ინტერნეტ მშობელი (რომელიმე პაკეტი), ამ შემთხვევაში აბონენტს შეეძლება ისარგებლოს 3 თვიანი აქციით Basic პაკეტის აქტივაციის შემთხვევაში, გ) თუ ამ ორმაგი შეთავაზების ანგარიშზე უკვე დაფიქსირებულია ინტერნეტ მშობლის სააქციო პაკეტი (აბონენტმა თავად ჩაირთო) ასეთ შემთხვევაში აბონენტს შეუწარმუნდება აქცია მისი ვადის ამიწურვამდე. ხოლო თუ ვადა გასულია, აბონენტს დაერიცხება დამატებითი სერვისის სტანდარტული ღირებულება
13. თუ ანგარიში, რომელსაც ეკუთვნის 3 თვიანი აქცია, არის დროებით შეჩერებული, აბონენტს ავტომატურად არ გაუაქტიურდება დამატებითი სერვისი "ინტერნეტ მშობელი".
14. თუ ანგარიში, რომელსაც ეკუთვნის 3 თვიანი აქცია, არის დავალიანების გამო გათიშული, ავტომატურად არ გაუაქტიურდება დამატებითი სერვისი "ინტერნეტ მშობელი".
15. თუ დროებით შეჩერებული ან დავალიანების გამო გათიშული ანგარიში, რომელსაც ეკუთვნის 3 თვიანი აქცია, განახლდა/ჩაირთო, აბონენტს ავტომატურად გაუაქტიურდება დამატებითი სერვისი "ინტერნეტ მშობელი" აქციის პირობებით.
16. თუ ანგარიში, რომელზეც ავტომატურად ჩართულია 3 თვიანი აქციით, დრებით ჩრდება, დროებით შეჩერდება დამატებითი სერვისი "ინტერნეტ მშობელიც". აქციის დროს ანგარიშის ჩართვის შემთხვევაში „ინტერნეტ მშობელიც“ განახლდება და იქნება უფასო, სანამ აქციით პერიოდი ამოიწურება. თუ ანგარიშის ჩართვის დროს აქციის ვადა უკვე ამოწურულია, „ინტერნეტ მშობელი“ განახლდება და აბონენტს დაერიცხება მისი სტანდარტული ღირებულება.

აქციით ჩასართავი პაკეტი	პაკეტის სტანდარტული ტარიფი	აქციის ფარგლებში განსაზღვრული ტარიფი
Basic	3 ლარი	გათვალისწინებულია ინტერნეტ მომსახურების სააბონენტო გადასახდელში